



მენორა

გამოდის
1993 წლის
მარტიდან

დამოუკიდებელი ებრაული გაზეთი საქართველოში

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

სამუშაო
(ეული)

1-15

№16 (325)

(5770)

2010

ზანი 50 თეთრი

„מנורה“

עיתון יהודי

בגורגיה

מנורה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

გილოცავთ ახალ წელს!



იპითხეთ გაზეთი „მენორა“ ინტერნეტ-სანიტში www.menora.ge

გილოცავთ!

2010 წლის 8 სექტემბერს, ოთხშაბათს საღამოს საქართველოს ყოველი ებრაელის ოჯახში შეხვედებიან სამყაროს შექმნიდან 5771-ე წელს – რომ ჰაშანას.

როგორც „კოვლეთი“ ამბობს, ყველაფერს მზის ქვეშეთში თავისი დრო და უამრავი აქვს. ადამიანის ცხოვრებაში დგება უამრავი, როდესაც ინწყებს საკუთარი როლის, საერთო საქმეში მისი ადგილის, ან თუნდაც, საკუთარ ოჯახში დამკვიდრების საშუალებების ძიებას. ხშირად ისე ამთავრებს სიცოცხლეს, რომ ვერ ახერხებს იმის გაგებას, თუ ვინაა, რისთვის მოვიდა ამქვეყნად და, საერთოდ, საით მიდის, რა აქვს მიზანი. საბედნიეროდ, ებრაელთა ცხოვრებაში საკუთარი თავის შეცნობისათვის საჭირო დღეები ყოველი წლის დასაწყისშია. ახალი წლის, რომ ჰაშანის, დადგომამდე ერთი თვით ადრე ჩვენ ვინწყებთ საკუთარ ქმედებებში შეცდომების ძებნას და მათ გამოსწორებას. ამით ჩვენ გვეძლევა საშუალება არ დავუმსგავსოთ ადამიანს, რომელიც უაზროდ მიყვება ცხოვრების დინებას.

დღესასწაულის დღეებში გამჩენი განსაკუთრებით ახლოსაა ჩვენთან, იგი მოელის ჩვენს მონანიებას და მასთან დაბრუნებას, ან უფრო დაახლოვებას. ჩვენი ბედი ჩვენივე ხელთაა და თუ შევძელით მისი სწორად წარმართვა, გამჩენი დაგვასაჩუქრებს ბედნიერების, სიკეთის, ჯანმრთელობის, სიცოცხლის განანგრძლივების, ფარნასის, დოვლათის და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, მშვიდობის ნიგნში ჩაწერით.

სადღესასწაულო სანთლების ანთებისას ჩვენი ცხოვრების განახლების კიდევ ერთ შესაძლებლობას შევსთხოვთ გამჩენს. ყველამ კარგად ვიცით, რომ ათი დღის შემდეგ, იომ ქიფურის დღესასწაულზე, ჩვენი ბედის ნიგნი დაიბეჭდება გამჩენის ბეჭდით და დაიხურება მომავალ რომ ჰაშანამდე.

გისურვებთ ყველას, სადაც არ უნდა იყოთ თქვენ, ჩაინეროთ მხოლოდ სიცოცხლის ნიგნში, გქონოდეთ

ISRAELI NEWS PAPER მოლოცვა

לשנה טובה

קב' תתכ' שנה י'א
 ה'תש"ק, ג'תתס"ח
 ה'ב'ח'כ'ד'ב' ת'צ'ה'ה
 תש"ס, תש"א, תש"ב
 ה'ש"ח ת'א'ר'ר, תש"ע
 ח'ג'ה . ה'תש"ו
 ע'ה'ח'ג'ז'
 תש"ע ת'ג'ע'
 י'ו'ה'ג'



State of Israel

הוא נה

كل عام وأنتم بخير

Happy New Year

Bonne Année

С Новым Годом

Feliz Año Nuevo

新年快乐



Ministry of Foreign Affairs
Jerusalem, Israel



150th Birthday Anniversary
of Theodor

სიკეთე, სიხარული, ბედნიერება, მშვიდობა. მრავალი კეთილი საქმე ყოფილიყოს თქვენი მეგზური გამჩენის სადიდებად.

ტკბილი და ბედნიერი რომ ჰაშანა ყოფილიყოს ყველა ოჯახში, ჯამაათში და მთელს მსოფლიოში!

საქართველოს მთავარი შაბინი **აზიმელ ლევი**

საქართველოს მთავარი შაბინის მოვალეობის

ქმსისულები **აზიმელის ოჯახი**

მინდა ახალ წელთან დაკავშირებით ყოველ თქვენგანს, თქვენი ოჯახის წევრებს გისურვოთ ჯანმრთელობა, ბედნიერება. ჩვენს ხალხს, ჩვენს სახელმწიფოს ჩვენს ერთიან ხალხს იმ ლოცვის აღსრულება ვუსურვო, რომელიც ლაღადებს: „მამარ ჩვენო, მეუფეო ჩვენო, გვიკურთხე წელი ახალი.“

ანასტასია მიხაილი,

ისრაელის ქვეყნის წევრი.

ელი ქონის ჰახს-ხონფაიხენსია

ებრაული სააგენტოს საქართველოს წარმომადგენლობის 20 წლისთავთან დაკავშირებით თბილისში, სხვა სტუმრებთან ერთად, ჩამოვიდა ებრაული სააგენტოს - „სოხნუთის“ ალიისა და აბსორბციის განყოფილების ხელმძღვანელი ელი ქონი. ალიისა და აბსორბციის განყოფილება „სოხნუთის“ გამორჩეული, მნიშვნელოვანი განყოფილებაა. სწორედ იგი ხელმძღვანელობს ისტორიულ სამშობლოში დაბრუნების მსურველთა ისრაელში დამკვიდრების საკითხებს.

3 სექტემბერს სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტი“ ელი ქონმა საქართველოს ებრაული პრესისათვის („მენორა“, „შალიმი“, „26 ვეკოვ“, „ებრაულ სამყაროში“) გამართა პრეს-კონფერენცია.

„სოხნუთის“ თანამშრომელმა, გაზეთ „შალიმის“ რედაქტორმა, ლევ სამოვსკიმ სტუმრებს წარუდგინა ებრაული პრესის წარმომადგენლები.

ელი ქონმა ოდნავ იუმორისტულ ტონებში გვიამბოთ თავისი ალიის თაობაზე:

- ერთი წლისაც არ ვიყავი, რომ ჩემი მშობლები დავიყოლიე მაროკოდან ისტორიულ სამშობლოში დაბრუნებულიყვნენ. მიუხედავად იმისა, რომ მამაჩემი ერთობ შეძლებული ადამიანი იყო, ყველაფერი დატოვა და ჩვენ ისრაელში გადავედით. ერთ პანიაოთახში, მთელი ოჯახი - 7 სული ვცხოვრობდით. მაგრამ ბედნიერი ვიყავით იმით, რომ ისტორიულ სამშობლოს დაუბრუნდით. ამ სამშობლომ მოგვცა ყველაფერი, რისი მოცემაც სამშობლოს შეუძლია. მე ჩემს ქვეყანას ვემსახურები. ვიყავი სამხრეთ ამერიკაში „სოხნუთის“ წარმომადგენელი, ახლა კი - ალიისა და აბსორბციის განყოფილებას ვხელმძღვანელობ.

ელი ქონმა უპასუხა ებრაული პრესის წარმომადგენელთა შეკითხვებს. გაიმართა ერთობ საინტერესო საუბარი „სოხნუთის“ როლსა და ადგილზე ებრაულ თემებში ეროვნული ტრადიციების გაღრმავების, ასიმილაციის

წინააღმდეგ ბრძოლის, ებრაული იდენტიფიკაციის გაძლიერების, ალიის საკითხებზე. იმასაც შეეხნენ, თუ როგორ მიმდინარეობს რეპატრირება აბსორბცია ისრაელში, რაოდენ ყურადღებას უთმობს ისრაელის სახელმწიფო ამ საკითხს. როცა საუბარი შეეხო დაბრუნების კანონით მოსარგებლეთა კონტინგენტს, ელი ქონმა საინტერესო მოსაზრება გამოთქვა:

- დღეს ძალიან რთულია ერთმნიშვნელოვნად თქვა, თუ ვინ იმსახურებს ისტორიულ სამშობლოში დაბრუნების ნებართვას და ვინ - არა. იყო დრო, როცა ადამიანები ცდილობდნენ დაემატათ თავიანთი ეროვნული წარმომავლობა, რადგან ებრაელობა მათ კარგს არაფერს უქადადა. ისინი ყოველწინარად ცდილობდნენ შეეცვალათ საბუთები - წაემატათ ეროვნული წარმომავლობის კვალი, ამაში ფულსაც კი იხდიდნენ. დღეს სხვა სიტუაციაა. დღეს ებრაელობა სულ სხვაგვარად გამოიყურება იმის გამო, რომ სამოცდაორი წლის განმავლობაში, ისრაელმა არნახულ წარმატებას მიაღწია. იგი მსოფლიოს მონინავე ქვეყანა გახდა. განვითარდა მეცნიერება, მრეწველობა, მედიცინა, ჩვენი სამედიცინო მომსახურება ძალიან მაღალ დონეზეა, ასევე მაღალ დონეზეა ახალი ტექნოლოგიების დანერგვა. დღეს ებრაელი ერი-სადმი კუთვნილება საამაყოა. ახლა ადამიანები იმაში იხდიან ფულს, რომ ებრაელად წარმოჩინდნენ. აქ საჭიროა ძალიან ფრთხილი მიდგომა რეპატრირაციის ყოველი მსურველისადმი. საბედნიეროდ, ისრაელის სახელმწიფოს აქვს მექანიზმი, რომლის მიხედვითაც ის კარგად ადგენს ადამიანის ეროვნულ კუთვნილებას.

დაისვა შეკითხვა ასიმილაციასთან ბრძოლის თაობაზე: თუ როგორი გზებით, საშუალებებით ებრძვის „სოხნუთი“ ამ სენს, აქ საუბარი შეეხო ებრაულ სულისკვეთებას, ებრაული თვითშეგნების ამაღლება-გაძლიერებას. ელი ქონმა ხაზი გაუსვა, რომ ეს გახლავთ ძა-



ლიან მნიშვნელოვანი, მაგრამ ეროვნული გადარჩენის ერთადერთი გზა მაინც რეპატრირაციაა, სწორედ ისრაელის სახელმწიფოში ძალუძს ებრაელს შეინარჩუნოს ეროვნული სახე და მოახდინოს საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაცია.

ელი ქონმა ისაუბრა ისრაელის ქართველ ებრაელობაზე: - დღეს ისრაელში 125 ათასამდე საქართველოდან წასული ებრაელია. ბევრი ამათგანი თავის განსაკუთრებულ სიტყვას ამბობს ისრაელის პოლიტიკაში, მეცნიერებაში, ბიზნესში, კულტურაში. ეს კიდევ ერთი დასტურია იმისა, თუ რას ნიშნავს რეპატრირაცია.

ელი ქონმა ხაზი გაუსვა „სოხნუთის“ ერთ-ერთ პრიორიტეტს: ისრაელ-საქართველოს ურთიერთობის გაღრმავება-გაძლიერებას.

პრეს-კონფერენციაში მონაწილეობდნენ „სოხნუთის“ დსთ განყოფილების ხელმძღვანელი **ალექს ბატი** და „სოხნუთის“ წარმომადგენელი საქართველოში **აზრაამ ოზიტი**.

ეპრაული სააგენტოს წარმომადგენლობა საქართველოში – 20 წელი ეპრაული ცხოვრების უაზრული

„ეპრაული სააგენტოს წარმომადგენლობა საქართველოში გაიხსნა 1990 წელს. ეს იყო უცხოეთის პირველი წარმომადგენლობა საქართველოში.“ ეს ოფიციალური ფორმულირება სისრულით ვერ გამოხატავს იმ მოვლენებს, რომელიც ამ ქვეყნისათვის ამ ურთულეს პერიოდში ხდებოდა.

ეპრაული სააგენტოს ახალგაზრდა წარმომადგენელმა, იციკ მოშემ, რომელიც თბილისში 1989 წელს ჩამოვიდა, და რომელსაც მხარში ამოუდგა ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა ასოციაციამ, აქტიურად დაიწყო მუშაობა ახალგაზრდებს შორის, შეიქმნა ახალგაზრდული ორგანიზაცია. ამ ორგანიზაციის წევრებმა პირველად მიიღეს მონაწილეობა ებრაული ახალგაზრდობის საერთაშორისო კონფერენციებში, ხოლო 1990 წელს, ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის პირობებში, თბილისში ჩატარდა ებრაული ახალგაზრდობის პირველი კონგრესი. სწორედ ამ პერიოდში იწყება ებრაული ცხოვრების აღორძინება, იქმნება სხვადასხვა ორგანიზაცია, აღინიშნება ებრაული დღესასწაულები.

საქართველოსთვის ყველაზე რთულ 1991-92 წლებში ებრაულ სააგენტოს ხელმძღვანელობდა მიხეილ კრიხელი - ისრაელში ცნობილი ინჟინერი, მთელი რიგი პროექტების ხელმძღვანელი, ნიჭიერი მხატვარი და პუბლიცისტი. იგი ჩამოვიდა მისთვის საყვარელ საქართველოში, რათა რეალურად დახმარებოდა ასობით ადამიანს. ყველაზე საშიშ სამოქალაქო დაპირისპირების დღეებშიც კი ებრაულ სააგენტოს კარი არ დაუკეტავს. იგი ხალხს ეხმარებოდა, მონაწილეობდა იყო ადამიანების სიცოცხლის გადარჩენისათვის - კონფლიქტური რეგიონებიდან ეწეოდა ებრაელების ევაკუაციას. სწორედ მიხეილ კრიხელის მონაწილეობით გახდა შესაძლებელი პირველი ავიარების - თბილისი-თელ-ავივის ჩატარება, რომელიც შემდგომ რეგულარული გახდა. მან მოაწყო ბავშვთა პირველი დასასვენებელი ბანაკები, ხელმოკლე ოჯახებს ჩამოუტანა ჰუმანიტარული დახმარება, ხელი შეუწყო ებრაული გაზეთის „შალომის“ გამოშვებას. აი, მცირე ჩამონათვალი იმისა, რაც ებრაულმა სააგენტომ მიშა კრიხელის დროს გააკეთა. დღეს ლეგენდად დადის ის ამბავი, მიშა კრიხელმა თბილისის „ოვირი“ (ვიზებისა და რეგისტრაციის განყოფილება) როგორ გამოიყვანა და დაასახლა ებრაული სააგენტოს შენობაში იმის გამო, რომ მათი ოფისი რუსთაველის პროსპექტზე სამოქალაქო დაპირისპირებისას დაინვა.

ეპრაული სააგენტოს ყოველ მომდევნო წარმომადგენელს თავისი დიდი წვლილი შეჰქონდა „სოხნუთის“ ავტორიტეტის გაძლიერებაში, ამას აღწევდა მრავალი პროგრამით, პროექტის რეალიზაციის მეშვეობით.

6 სექტემბერს შოთა რუსთაველის სახ. სახელმწიფო თეატრში ფართოდ აღინიშნა საქართველოში ებრაული სააგენტოს დაარსების 20 წლისთავი. საიუბილეო საღამოზე თავი მოიყარეს საქართველოს უზენაესი ხელისუფლების წარმომადგენლებმა, პარლამენტარებმა, ებრაულმა საზოგადოებრიობამ, მთავრობის წევრებმა.

წარმომადგენლობის მთელი მოღვაწეობა პირველსავე დღიდან მიმართული იყო იმი-საკენ, რომ გაეძლიერებინა ებრაული ხალხის კავშირი ისრაელთან, დახმარებოდა ებრაულ თემს და იმას, ვინც ისტორიულ სამშობლოში დაბრუნების გზას დაადგა. ებრაული სააგენტო ესწრაფვოდა განვითარებინა ქართველი და ებრაული ხალხის, საქართველოსა და ისრაელის მეგობრული კავშირები. ებრაული დღესასწაულები მასშტაბურად აღინიშნებოდა, მასში მონაწილეობდნენ საქართველოს პრეზიდენტები, ისეთი პროგრამის ხორცშესხმაში, როგორც გახლდათ ებრაული ახალგაზრდობის პირველი კონგრესი თბილისში 1990 წელს. 1998 წელს ჩატარებული საქართველოში ებრაელთა დამკვიდრების 2600 წლოვანი დღესასწაული, ისრაელის თავდაცვის არმიის, ქნესეთის წევრების, სახელმწიფოს მთელი რიგი ქალაქების მერების, ამერიკელი სპონსორების ვიზიტი. ყოველ ამ ღონისძიებას ფართო რეზონანსი ჰქონდა და გახლდათ ნათელი დემონსტრაცია ებრაული სააგენტოს ავტორიტეტისა - საქართველოს ხელისუფლებასთან მისი ჯანსაღი ურთიერთობისა და ამ ქვეყნის ებრაული თემის ძალისა და პოტენციალისა. როცა ამ ღონისძიებებს მაღალ დონეზე ატარებდა, ებრაული სააგენტო ხელს უწყობდა საქართველოს ღირსეული იმიჯის შექმნას მსოფლიო არენაზე, პროპაგანდას უწევდა ქართველი და ებრაული ხალხების 26 საუკუნოვანი თანაცხოვრების წესს.

2008 წელს, აგვისტოს ომის შემდეგ, ებრაული სააგენტოს საქართველოს წარმომადგენლობამ მცირე წვლილი როდი შეიტანა ომში დაზარალებულთა დახმარების საქმეში. კონკრეტულად, 2008 წლის სექტემბერში „სოხნუთის“ ძალისხმევით ისრაელში ოპერატიულად გაიხსნა ბანაკი ლტოლვილი ბავშვებისათვის.

წარმომადგენლობის კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტი გახლავთ ებრაული ერის სულიერი მეგობრურობის, მისი ეროვნული თვითმყოფადობის შენახვა და განვითარება. საქართველოს ებრაული თემი უნიკალური ტრადიციების მატარებელია, ამიტომ, „სოხნუთის“ წარმომადგენლობა აქტიურად მონაწილეობს სათემო ცხოვრებაში. განახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამებს. ამ

მოღვაწეობის ფარგლებში წარმომადგენლობა ატარებს სპეციალურ კურსს, რომელიც ხელს უწყობს ებრაული თვითშეგნების ამაღლებას, ერის ისტორიის, ტრადიციების და კულტურის შესწავლას. ახალგაზრდობისთვის ატარებს სპეციალურ ვიქტორინებს. შემთხვევითი არ არის ის ფაქტი, რომ წარმომადგენლობის მიერ მომზადებულმა ახალგაზრდებმა რამდენიმეჯერ გაიმარჯვეს თანახის ცოდნის საერთაშორისო კონკურსში.

წარმომადგენლობის მოღვაწეობის უპირველესი მიმართულება გახლავთ დახმარება ენის შესწავლაში. ებრაული ენის „ულანი“ თითქმის წარმომადგენლობასთან ერთად გაიხსნა. მისი პედაგოგიური მომზადების, სწავლების დონის თვალსაზრისით, დსთ-ს ქვეყნებში უძლიერესად ითვლება. ამ ულანში ათასობით ადამიანმა შეისწავლა ივრითი.

წარმომადგენლობა სერიოზულ ყურადღებას უთმობს საინფორმაციო სამსახურს, ატარებს საგანგებო სემინარებს, რომელშიც მსმენელები ეცნობიან ისრაელს. წარმომადგენლობა გამოსცემს ივრითის სახელმძღვანელოებს, სხვადასხვაგვარ საცნობარო ბროშურებს, პოსტერებს, კალენდრებს, ხელს უწყობს რუსულენოვანი ებრაული გაზეთის გამოცემას.

წარმომადგენლობა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა და უთმობს ახალგაზრდობასთან მუშაობას. საზამთრო და საზაფხულო ბანაკებში დაისვენა ორი ათასმა ბავშვმა. 500-მა გოგონამ და ვაჟმა პროგრამა „თავლითის“ მეოხებით შესძლო სტუმრობა და ისრაელს. 200-მდე ახალგაზრდამ მონაწილეობა მიიღო სხვადასხვაგვარ სტუდენტურ და ახალგაზრდულ საგანმანათლებლო პროექტში.

„სოხნუთის“ წარმომადგენლობა თავის ადგილს იჭერს საქართველოს დედაქალაქის კულტურულ ცხოვრებაში. წარმომადგენლობის ოფისში გაიმართა მხატვრების, სკულპტორების, ფოტოხელოვანთა ებრაული თემისადმი მიძღვნილი რამდენიმე საინტერესო გამოფენა.

გათვალისწინებული იქნა რა საქართველოს წარმომადგენლობის მიღწევები და დამსახურება, 2002 წელს თბილისში ჩატარდა ებრაული სააგენტოს ყოველწლიური კონგრესი.

დღეს სამხრეთ კავკასიაში ებრაულ სააგენტოს ხელმძღვანელობს ავი ოფირი - სოხნუთის ერთ-ერთი პირველი წარმომადგენლის - იაკობ ოფირის ვაჟი. წარმომადგენლობის კოლექტივი ესწრაფვის, რომ იგი კვლავაც იყოს საქართველოში ებრაული ცხოვრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრი, ცენტრი, რომელიც ებრაულ თემს აკავშირებს ისრაელთან.

ისხაჯის ეჩრის - ისხაჯ ბეხბეხის სისყვა



ჩემთვის დიდი პატივია, ოცი წლის იუბილე მივულოცო ებრაული სააგენტოს საქართველოს წარმომადგენლობას. ებრაულ სააგენტოს უდიდესი წვლილი მიუძღვის მსოფლიო ებრაელობისა და ისრაელის სახელმწიფოს დაკავშირებაში. მან ითავა მისია, ებრაელები დაებრუნებინა ისტორიულ სამშობლოში, რადგან ებრაელი ერის აწმყობის დასასრულს, მინდა კიდევ ერთხელ აღვნიშნო, რომ საქართველოს მეგობრობა ებრაელ ერთან დრომ გამოსცადა და ამის გამო მსურს მადლობა გადავუხადო საქართველოს მთავრობას, განსაკუთრებით, ქართველ ერს.

გაბაღლობა!

ეპრაული სააგენტოს წარმომადგენლის - აკააჲ ოფირის სისყვა

ძვირფასო მეგობრებო, პატივცემულო სტუმრებო! მოხარული ვარ, რომ დღევანდელ საღამოს თქვენს საზოგადოებაში, საპატიო სტუმრების გარემოცვაში ვატარებ, რომლებიც ეწვივნენ თბილისს, რათა ჩვენთან ერთად იზეიმონ ეს დღესასწაული.

მე მადლობელი ვარ, რომ ასეთი მაღალი შეფასება მიეცა ჩვენი წარმომადგენლობის მიერ საქართველოსა და ისრაელის ხალხებს შორის, საქართველოს ებრაელობასა და ისრაელის ებრაელობას შორის და რაც მთავარია, საქართველოს და ისრაელს სახელმწიფოებს შორის კავშირების განმტკიცებასა და განვითარებაში შეტანილ მოკრძალებულ წვლილს.

ამ 20 წლის მანძილზე მიღწეულ შედეგებში უდიდესი როლი მიუძღვით ჩემს წინამორბედ წარმომადგენლებს, ჩვენი წარმომადგენლობის თანამშრომლებს, ებრაული სააგენტოს იერუსალიმის სათაო ოფისის თანამშრომლებს, საქართველოს სახელისუფლებო და საზოგადოებრივი წრეების წარმომადგენლებს, საქართველოს ებრაულ თემს, ისრაელის საელჩოს საქართველოში, ებრაულ ორგანიზაციებს, რომელთაც მუდმივად ვთანამშრომლობთ, რისთვისაც ყველას გულითად მადლობას მოგახსენებ.

მე სოხუმში დაბადებული ადამიანი ვარ, რომელმაც ცხოვრების დიდი ნაწილი ისრაელში გაატარა, და მიუხედავად იმისა, რომ საქართველო ფაქტიურად არც მახსოვდა, ისევე როგორც ათასო-

ბით საქართველოდან გამოსულ ებრაელთა ოჯახებს, ჩემს ოჯახსაც არასოდეს დაუკარგავს სულიერი კავშირი საქართველოსთან.

ვიზრდებოდი ქართული ენით, ქართული სიმღერებისა და ცეკვის გარემოცვაში, მუდმივი საქართველოს მოგონებებითა და ნოსტალგიით, და ალბათ წარმოგიდგენიათ თუ რაოდენ საპატიო და საპასუხისმგებლოა ჩემთვის დღეს ამ სცენაზე დგომა და ებრაული სააგენტოს საქართველოს წარმომადგენლობის 20 წლის იუბილეს თქვენთან ერთად აღნიშვნა. ნათქვამია, რომ იუბილე ეს მხოლოდ გაჩერებაა დიდ გზაზე, შეჩერდით, იზეიმე და უნდა გააგრძელო წინ სვლა. ჩვენთვის ეს ის დროა, როცა შეგვიძლია შევავსოთ განვლილი გზა და მომავალზე, ახალი ამოცანების გადაწყვეტაზე დავიწყოთ ზრუნვა, მაგრამ ჩვენი ერთი ამოცანა მუდამ უცვლელი რჩება. ჩვენ ყოველთვის უნდა ვიყოთ იქ, სადაც ვჭირდებით და სადაც შეგვიძლია აღმოვეჩინოთ მათ დახმარება.

ორ დღეში დადგება ებრაული ახალი წელი, რომ ჰაშანა. მინდა ყველას გისურვოთ, ბედნიერი წელი, სიხარული, ჯანმრთელობა, ხოლო ჩვენს ორ ქვეყანას ვუსურვო წინსვლა, შემდგომი წარმატებები და რაც მთავარია, მშვიდობა.



რომანი ღროზა, სიყვარულსა და სიხოსხლეზე

ინგა მილორაძე

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ავი სული, სახელად კობოლდი. ყველაზე უარესი ის გახლავთ, რომ ეს იყო თვითონ ეშმაკი. ერთხელ კარგ გუნებაზე დადგა და უცნაური სარკე გააკეთა. ამ ჯადოსნურ სარკეში ყველაფერი კარგი და მშვენიერი მახინჯად და უკუღმართად გამოჩნდებოდა, ხოლო უსარგებლო და უსახური კიდევ უფრო თვალსაჩინო ხდებოდა, გული შეუღონდებოდა“...

„ეშმაკს კობოლდების სკოლაც ჰქონდა. ამ სკოლის მონაწიეები ყველგან დაძვრებოდნენ და ხალხს მოუთხრობდნენ, სასწაული მოხდაო. ერთი შეხვით, რანაირა სინამდვილეში ბუნება და რა უსახური ყოფილა ადამიანი, თავი რომ დიდი რამე ჰგონიო! ასე ლაპარაკობდნენ, ეშმაკის სარკეს დააქროლებდნენ აღმა-დაღმა და ბოლოს ქვეყნიერებაზე ერთი კუთხეც არ დარჩენილა ისეთი, ადამიანთა სახე რომ არ გაემრუდებინათ. ახლა ცაში ასვლაც განიზრახეს. აფრინდნენ კიდევ, იფრინეს, იფრინეს და ღრუბლებს გაუსწორდნენ, უეცრად მრუდე სარკე შეცაცხახდა, ხელიდან დაუცურდათ. დაბლა დაეშვა, დედამიწაზე დაეცა და მილიონ ნაწილად დაიმსხვრა. ეს უფრო დიდი უბედურება იყო, რადგან თითოეული ნამცეცი ქვიშის მარცვლისოდენა იყო, მთელს ქვეყნიერებაზე მტვერივით გაიფანტა და ვისაც თვალში მოხვდებოდა, შიგვე რჩებოდა. ვისაც თვალში ეშმაკის სარკის ნამუსჯრევი ჩარჩებოდა, ყველაფერს უკუღმა ხედავდა, ყველაფერი მრუდედ და მახინჯად ეჩვენებოდა, ყოველ საქმეში მხოლოდ ცუდს და ურიგოს ამჩნევდა, კარგს კი არაფერს. რადგან ყოველი ნამცეცი იმავე თვისებას ინარჩუნებდა, რაც დიდ სარკეს ჰქონდა. ზოგიერთი ნამცეცი სისხლს გაჰყვა და ადამიანების გულშიც კი მოხვდა. ეს დიდი უბედურება იყო. ასეთ კაცს მკერდში გინდ გული ჰქონოდა, გინდ შავი ქვა“, - აი, ასე იწყება ის თვალწარმტაცი ამბავი, რომელიც ჰანს ქრისტიან ანდერსენის ზღაპარში „თოვლის დედოფალია“ მოთხრობილი და განა არ ჰგავს ეს ყველაფერი იმ სინამდვილეს, რომელიც ჩვენ გარშემოა? თუმცა შეიძლება მაინც გაჩნდეს კითხვა, რა აკავშირებს ერთმანეთთან ანდერსენის ზღაპარს და გურამ ბათიაშვილის რომანს „ჟამი დუმილისა და ჟამი უბნობისა“? მიმოვიხედოთ ირგვლივ და დავინახავთ იმ დროსა და სივრცეს, რომელიც შედეგად ჩვენს გარშემო, ავისმომასწავებელ ბლანტ მენამულ ბინად ჩამონვა, გულებში კი ჩაცვივდა მრუდე სარკის ნამსხვრევები და შედეგად: თითქმის ყველაფერი უარყოფილია, რასაც დროთა კავშირის შექცევა შეუძლია და დარღვეული დროთა კავშირის შემთხვევაში კი - შექცაირს მივმართავთ შემწედ - რალაც ლპება და იშლება. როცა ვუყურებთ, როგორი დამოკიდებულება აქვს თანამედროვე საზოგადოების გარკვეულ, არც ისე მრავალრიცხოვან, თუმცა საკმაოდ მძლავრ ნაწილს მყარი ფასეულობების, ღირებულებებისადმი, აბსტრაქტული იდეების წინაშე როგორ დამცრობილია თავისთავად ადამიანი, მისი სიცოცხლე, მისი ღირსება და, რაც მთავარია, როგორ ვეპყრობით ჩვენ (საკუთარ პასუხისმგებლობას არ ვიხსნი, ვფიქრობ, არც ბევრი სხვა, რადგან თუ ვერაფერს ცვლი, ე.ი. ხარ თანამონაწილე) ჩვენს წარსულს, ისტორიას, უნებურად ჩნდება ეჭვი, იმ სარკის ნამსხვრევების დიდი ნაწილი სწორედ ჩვენს ქვეყანაში ხომ არ ჩამოცივდა და ჩვენს თვალებსა და გულებში დაიდო ბინა. და განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ამგვარ ვითარებაში იქმნება ისეთი აბსოლუტურად ჯანსაღი, სალი და პარმონიული

ნიგნი, როგორცაა „ჟამი დუმილისა და ჟამი უბნობისა“. რომანის ამგვარი არსი მისი ავტორის მსოფლმხედველობრივი ქვაკუთხედით, მოქალაქეობრივი პოზიციითა და შემოქმედებითი კრედიტითა განპირობებული და იგი მრავალი თვალსაზრისითაა ღირსშესანიშნავი.

პირველ ყოვლისა, ესაა მხატვრული ღირებულება: ნაწარმოების ენა თავისი სისადავით, იმავდროულად ხატოვანებით, ფერადოვნებითა და გამომსახველობითი ხერხების დახვეწილობით იპყრობს ყურადღებას. მწერალი შორეული ეპოქის ზედმინევიტ ზუსტ რეკონსტრუქციას სულაც არ ცდილობს, არც სიძველის იერის მქონე ანტიურაჟს, დეკორაციებს ქმნის, არამედ გამოსცემს გარდასულის სულს, სურნელს, განწყობას. თამარ მეფის დიდებული და რთული დრო აქ ზუსტად გამოძერწილ ხასიათებში, ურთიერთობებსა და მოვლენებში ცოცხლდება. გარკვეულწილად, ვფიქრობ, მწერალმა ღიონ ფოიხტვანგერისთვის იყო ორგანული (მათი მხატვრული სამყაროების შინაგანი ნათესაობა სხვა გამომსახველობით სიბრტყეებში ვლინდება) და ასევე ხორცი შეისხა ნიკო ლორთქიფანიძისა და გრიგოლ აბაშიძის ისტორიულ ნაწარმოებებში.

აზრისა და იდეის სიღრმესთან შერწყმული თხრობის სიმსუბუქე და გამჭვირვალეობა გურამ ბათიაშვილის რომანის, მოდი ვთქვათ ასე, „უნვალებლად“, ერთი ამოსუნთქვითა და სიამოვნებით ნაკითხვის საშუალებას იძლევა და, ვფიქრობ, ეს არ არის უმნიშვნელო, რადგან ის ამბავი, ადამიანებს შორის მყარი სულიერი კავშირი, რომელიც ასახულია რომანში, უნდა მივიდეს ყველა მკითხველამდე, ინტელექტუალურადღერადეც და ნაკლებინტელექტუალურადღერადეც. დღეს კი სიტყვიერ ქსოვილთა უხამსი და კადნიერი დამოკიდებულების გამო თანდათან იკარგება მკითხველი: ინტელექტუალური იმიტომ, რომ კარგა ხანია მიხვდა, რომ ამგვარი ვითარება უსაზღვრო სნობიზმისა და პროვინციალიზმის გამოა შექმნილი, დანარჩენი კი იმიტომ, რომ ადამიანს თავისთავად, ბუნებრივად მიჩიჭებული აქვს სიტყვის მშვენიერების, სიტყვის სისავსის, სინათლისა და სიკეთის შეგრძნების უნარი. ამიტომ თავისთავად უარყოფს ხელოვნურს, „გონებანაჭყლეტსა“ და უსახურს და მიესწრაფვის ამბავს, რომელიც მშვენიერი, მხატვრული ქსოვილით იქნება შებურვილი.

სწორედ ამგვარ ქსოვილშია გახვეული თამარის ეპოქა ამ რომანში. მართლაც თვალში საცემია მწერლის მონივნება, სალი და წრფელი დამოკიდებულება წარსულისადმი, რომელიც ერთდროულად გულისხმიერიცაა და გონებისმიერიც. წარსულს, ამ შემთხვევაში - თამარის ეპოქას, იგი განიხილავს როგორც დროთა კავშირის ურღვევი ჯაჭვის რგოლს. ისევ უნდა გავუსვათ ხაზი, რომ ის დამოკიდებულება, რაც ჩანს ამ ნიგნში, განსაკუთრებით საგულისხმოა გარდასულისადმი ზედაპირული, ზოგჯერ კი პირდაპირ ნეგატიური დამოკიდებულების პირობებში, და, რაც მთავარია, შეიძლება გამოდგეს ამ ავი ტენდენციების საპირწონედ, რადგან მასში არ არის ერთი მისხალი პათეტიკა, გამაღიზიანებელი მაღალფარდოვნება. მწერალი ერთი ნამითაც კი არ ხუჭავს თვალს სიმართლეზე, არ ეძლევა ბრმა აღტაცებას, რამაც შეიძლება მართლაც სამართლიანად შეანუხოს უკვე საკმაოდ კრიტიკულად განწყობილი თანამედროვე მკითხველი. მიუხედავად სტრიქონებში მიმალული რომანტიზმისა, მწერალი ცდილობს, ჩასწვდეს და გაანალიზოს ისტორიული მოვლენის ქეშმარიტი არსი, დაინახოს მისი ავი და

კარგი, მთლიანობაში წარმოადგინოს ეპოქა. ეს არის წარსულის სიყვარულითა და დიდი პასუხისმგებლობით მოთხრობილი პიროვნული ამბავი.

მაგრამ „ჟამი დუმილისა და ჟამი უბნობისა“ იმითაც გამორჩეულია, რომ ისტორიული წარსული სრულიად განსაკუთრებული სამზერიდან, განსხვავებული კუთხითაა დანახული - ქართველი და ებრაელი ერის ურთიერთობის თვალსაზრისით. ებრაელი ვაჭრის მონაწილეობა უმნიშვნელოვანეს სახელმწიფოებრივ, პოლიტიკურ მოვლენებში - ეს სიუჟეტური ხაზი მწერლის წარმოსახვამ განაწვავა, შეავსო, სხვადასხვა განშტოებით გაამდიდრა და საბოლოოდ შექმნა ქართველების და ებრაელების ურთიერთობის შთამბეჭქდავი სურათი. ეს ურთიერთობა თავისთავად უნიკალურია, მხატვრულ ტექსტში კი იგი ახალი ხერხებით იკვეთება, მოტივაცია ნათლად ჩანს და მხატვრულ დამაჯერებლობასაც იძენს. ზანქან ზორაბაბელის მონუმენტური სახის, სასიათის სტრუქტურის თანდათანობით, ნაბიჯ-ნაბიჯ კონსტრუირებისა და ისტორიული მოვლენების გაშლის კვალდაკვალ მწერალი ცდილობს, ამოხსნას საიდუმლო: როგორ მოხერხდა, რომ სხვა, განსხვავებულმა ხალხმა შეძლო გამხდარიყო სხვა ერის ორგანული და ერთგული ნაწილი ისე, რომ ამავე დროს მთლიანად შეენარჩუნებინა თავისი თვითმყოფადობა, თვისი წესი და კანონი, მძლავრი ფესვი. ეს ურთიერთობა ორივე მხარისთვის უდანაკარგოდ შედგა და ამაში ასევე ორივეს - ქართულსა და ებრაულს - მიუძღვის წვლილი. ზანქანი, მისი ოჯახი, მთელი ებრაული თემი ცხოვრობს მამა-პაპის რჯულის მიხედვით, არასოდეს იტყვიან უარს თავიანთ მეობაზე და ამავე დროს გრძნობენ თავს ქართველი ხალხის, საქართველოს ნაწილად. ზანქანმა იცის, რომ ებრაელობა არასოდეს მიემხრობა ქვეყნის ორგულს, თვითონაც და მისი ხალხიც საქართველოს პატრიოტები არიან და როცა გადაჯიშებულ აბუღასანს უყურებს, გულისტკივილთან ერთად სადღაც, შიგნით გრძნობს, რომ თვითონ უფრო ახლობელია ამ ქვეყნისთვის, ვიდრე ფსევდომოგლეჯილი ვითომქართველი.

„რამდენი საუკუნეა აქ, ამ მიწაზე ვცხოვრობ. დრომ ამ ქვეყნის ნამდვილ შვილად მაქცია, ამ მიწის, ცის, ჰაერის ნაწილად. ამას მაინც უცხოდ მივანჩვიარ, ამას მაინც ის ჰგონია, თვითონ არის შვილი, პატრონი ამ მიწისა, მე კი უცხო შინაური ვარ, ან შინაური უცხო. თუმცაღა... ის არავინ იცის, თავად ვინ არის... ბერძენთა შთამომავალი თუ რომაელთაგან ქცეული ქართველად, არაბთა ნაშვილი ქართველი თუ ნაყიფალარი. მე კი უცხო შინაურად ან შინაურ უცხოდ მივანჩვიარ.“

ზანქანი თვისი ტანჯვითა და ერთგულების გამოცდით ამტკიცებს, ვინ და რა არის ის ამ ქვეყნისთვის. თამარის ეპოქის ქართველობა (ვიგულისხმობთ, ზოგადად ქართველობა, რადგან დროთა კავშირის ურღვევობას გამუდმებით ვგრძნობთ ამ ტექსტში) გრძნობ ებრაელების განსხვავებულობას, მაგრამ იღებს მათ როგორც თავის ბუნებრივ და პატივსაცემ, გრძნობიერ დონეზე კი ახლობელ და საყვარელ ნაწილს. ამ ტექსტში ნათლად იკვეთება ის მარადიული და ზოგადადამიანური ფასეულობები, რომელიც ერთი ეპოქის მაგალითზეა მონოდებული, მაგრამ თავისი არსით სცილდება კონკრეტულ დრო-სივრცულ ფარგლებს და ყოველერების ფილოსოფიურ სიღრმეს სწვდება. ეს არის თავისუფალი საზოგადოება, რომელშიც ბევრი მძიმე და ბოროტი საქმე ხდება, ხელისუფლებისთვის ბრძოლა. ღალატი და



რას ვპითხულობთ
ამ კვირაში?
რუბრიკას უძღვება
საქართველოს მთავარი რაბინი
არიელ ლევინი

ს
ე
ს
ე
ბ
ე
ნ
ე



„ჰააზინუ“ მოშე რაბეინუმ იმღერა სიკვდილის დღეს. მასში ნაწინასწარმეტყველება ებრაელი ხალხის მომავალი. საუბარია გამჩენთან დადებული აღთქმის შემთხვევაში განსაზღვრულ სასჯელზე და იმაზე, თუ როგორ გაუხსნორდება გამჩენი მათ, ვინც რაიმე ზიანს აყენებდა ებრაელებს გალუთში.

სულ გამჩენის სადიდებელი 10 წინასწარმეტყველური (ჰიმნია) სიმღერაა, რომელთა შორისაც „ჰააზინუ“ მეოთხეა.

პირველი ჰიმნი ადამმა წარმოსთქვა გან ედენში და მასში შაბათის სიდიადეს უძღვნა ქება-დიდება.

მეორე სიმღერა მოშე რაბეინუმ და ისრაელის შვილებმა იმღერეს იამ სუფთან (წითელ ზღვასთან) ფარაონის არმიისაგან სასწაულებრივად განთავისუფლების შემდეგ.

სიმღერებს შორის მესამე იყო მირიამის ჭის ქება-დიდება.

მეოთხე იყო ზემოთ ხსენებული „ჰააზინუ“

მესხეთე სადიდებელი ჰიმნი იმღერა იეჰოშუამ ემორეელებთან ბრძოლის დროს, როდესაც მან შეძლო მზის შეჩერება.

მექექსედ იმღერეს დებორამ და ბარაკმა მაშინ, როდესაც გამჩენმა მათ ხელში ჩაუგდო მტერი, მათ შორის კი სისრაც იყო.

როდესაც ხანამ შმუელი გააჩინა შვილის მრავალი წლის მოლოდინის შემდეგ, მანაც ადიდა გამჩენი წინასწარმეტყველური სიმღერით.

სიცოცხლის ბოლოს დავიდ ჰამელეხმა შეთხზა გამჩენის სადიდებელი სიმღერა მტრებისაგან გადარჩენის სამადლობლად.

მეფე შლომომ კი სიმღერათა სიმღერა - „შირ ჰაშირიმ“ უძღვნა გამჩენს.

მეათე სიმღერას შეასრულებენ ებრაელები დღევანდელი განდევნისაგან განთავისუფლების შემდეგ.

„ჰააზინუ“-ს პირველ ნაწილში მოშე რაბეინუს ზეცა და დედამინა მონმეებად მოჰყავს იმის დასადასტურებლად, რომ გააფრთხილა ებრაელები, რათა მათ დაეცვან თორა. რატომ მოიყვანა მოშემ მონმეებად ისინი? ჯერ ერთი იმიტომ, რომ ზეცა და მინა თაობებისათვის არსებობენ და თორაც ხომ ყველა თაობისათვისაა. მეორე მიზეზი კი ისაა, რომ მონმეები სჯიან ცოდვილებს (მათ, ვინც არ დაიცავს თორას). ასევე დასჯიან მათ ზეცა და დედამინა, ერთი არ მისცემს მათ წვიმას, მეორე კი - ნაყოფს. და ბოლოს, თავად ზეცისა და დედამინის არსებობა დაკავშირებულია ებრაელთა მიერ თორის მცნებების შესრულებასთან.

„ჰააზინუ“-ში თორა შედარებულია წვიმასა და ცვართან. რატომ?

როგორც უწყლოდ, ასევე თორის გარეშე შეუძლებელია სამყაროს არსებობა. როგორც წვიმა მოდის ზემოდან, ასევე თორას ვლებულობთ ზეციდან.

წყალი ეს ძირითადი გამწმენდი საშუალებაა, ასევე თორა განწმენდს და აამაღლებს მათ, ვინც სწავლობს და იცავს მას „ზეცის სახელზე“.

წვიმა არ ქმნის ახალ მცენარეებს, მაგრამ ეხმარება მათ განვითარებაში, ასევეა თორა, რომელიც აწვითარებს ადამიანის სულს.


ებრაელი არასოდეს იღლება თორის სწავლით, ისევე, როგორც თევზი დაუღალავად ისრუტავს წვიმის ყოველ წვეთს. ადამიანიც სწავლისას მონყურებულია თორის სულ ახალ-ახალ ახსნას.

რატომ ადარებენ თორას ცვარს? წვიმა ყოველთვის არ გვახარებს, მგზავრთათვის ის არცთუ სასურველია, შეუძლია ავნოს ღვინის მომზადებლებს. იმისათვის, რომ არ ვიფიქროთ თორასაც შეუძლია ჩვენი

ცხოვრებისათვის ზიანის მიყენება, მოშემ დაამატა, რომ თორა ცვარსაც წააგავს. ყველას უხარია ცვარის ჩამოსვლა, ასევე ახარებს თორა ყველას.

მოშე რაბეინუ იეჰოშუასთან ერთად ასწავლიდა ხალხს სიმღერას „ჰააზინუ“. იმავე დღეს ის ავიდა მთაზე ნევი, რათა თვალი გადაეცლო ისრაელის მინისათვის. ის ხომ ამ მინაზე ვერ შევიდა იმ შეცოდების გამო, რომელიც მან კლდისაგან წყლის მიღებისას ჩაიდინა, როცა ხალხის მიერ წყლის დაჟინებითი მოთხოვნა არ დააკმაყოფილა ისე, როგორც მას გამჩენმა უბრძანა.

სიცოცხლის ბოლო დღეს მოშე რაბეინუმ დალოცა ყველა ტომი ცალ-ცალკე, რაც შემდეგ „და ეს დალოცვა“ თავშია აღწერილი.



თბილისის ებრაული სათემო სახლი
დიდი გულისტკივილით უცხადებს
თანაგრძობას ქ-ნ რაია და ბ-ნ იაშა
წიწუაშვილებს ვაჟიშვილის -
მუშაზ ვიწუაშვილის
უდროო გარდაცვალებასთან
დაკავშირებით.
ეთერ თოფჩიაშვილი - გიგინეიშვილისა
თანაგრძობას უცხადებს ქ-ნ რაია
წიწუაშვილს და მის ოჯახს შვილის -
მუშაზ ვიწუაშვილის
გარდაცვალების გამო.

ორპირობაცაა, მაგრამ დაცულია განსხვავებულიაში პიროვნების თავისუფლება და საკუთარი ფასეულობების ერთგულებასთან ერთად ქვეყნის, სახელმწიფოს, ერის განუყოფელ ნაწილად ყოფნის შესაძლებლობა.

რომანი მრავალპლანიანობითა და მრავალბიანობითაც გამოირჩეულია. ისტორიულ მოვლენებთან ერთად ვითარდება ზანქანის ქალიშვილის, ბაჩევას ტრაგიკული და მშვენიერი მელოდია. ბაჩევა, თვალწარმტაცი ებრაელი გოგონა, სიყვარულის მტანჯველ და მომავლდინებელ გზას გადის... სიცოცხლის გადარჩენამდე, ბაჩევასა და ქართველი ჭაბუკის, უშუს სიყვარული იმთავითვე განწირულია, თუმცა ქალმა გადალახა ზღვარი, რომელიც, წესით, ვერაფრით უნდა დაეძლია - თუმცა მათ სიყვარულს, უფრო კი ოცნებას, მაინც არ ეწერა ახდენა... უშუ იღუბება, გახევებული, გონდაკარგული ბაჩევა კი ამქვეყნიური ცხოვრებისათვის სამუდამოდ დაკარგული ჩანს... მაგრამ... ამ ქალის, ერთი შეხედვით, ბევრჯერ მომხდარი და მრავალგზის მოყოლილი აკრძალული და უბედური სიყვარულის ამბავი ბევრად უფრო ღრმა შრეებში შეღწევის საშუალებას აძლევს მწერალს. ბაჩევასთან მიმართებაში გამოიჩნდა ზანქანის ბრძნული და მიმტევებლური ბუნება - მან აპატია ქალიშვილს ის, რაც თითქმის მიუტევებელია. აპატია სიყვარულის გამო, იმიტომ, რომ ბაჩევას უყვარდა და იმიტომ, რომ თვითონაც უყვარს - თავისი შვილი, ბაჩევა... და სიცოცხლე. ბაჩევასთან დამოკიდებულებაში გამოვლინდა ებრაელი ერის საზ-

რისი - ის ცხოვრობს დროში. მას შემდეგ, რაც აღთქმული მინა - სივრცე დიდი ხნით დაიკარგა, ერმა ისწავლა და დაიწყო ცხოვრება დროში, თაობიდან თაობაში, მამიდან შვილში, შვილიდან შვილიშვილში და ის, რაც მოხდა ათასი წლის წინ, სულ გონებაშია და ამ თაობათა უწყვეტი ჯაჭვის მეშვეობით მუდმივად ცოცხალია და ხელახლა ხდება დაუსრულებლად. ამიტომაცაა, რომ დიდი ტკივილის, გაუსაძლისი დანაკარგის მიუხედავად, ზანქანს მიაჩნია, რომ ბაჩევამ უნდა გააგრძელოს გზა დროში, გააჩინოს შვილი და ბაჩევაც, როგორც ამ დროში მცხოვრები ერის შვილი, თანდათან თავს აღწევს სიკვდილს და თავისდა უნებურად, ისწრაფვის თავისი ფუნქციის შესრულებისკენ - რაც უნდა მოხდეს, სიცოცხლე უნდა გაგრძელდეს, დრო უნდა გაგრძელდეს მის შემდეგაც. ქართველი ჭაბუკი უშუ კი რჩება როგორც ოცნება, სიმბოლე, ხატი (სწორედ ფერწერულ ტილოზე გამოსახული უშუს დანახვაზე მოვიდა გონს გახევებული ბაჩევა), როგორც არამიწიერი ზმანება, რომელსაც დედამინაზე ახდენა არ უწერია. სამაგიეროდ, აქვეა ეუდა, მინიერი, ხორციელი, ის, ვინც საშუალება მისცა ქალს, შვილის მეშვეობით დროში უკვდავება მოეპოვებინა. ძალიან მტკივნეული და სევდიანია ოცნებისა და სიყვარულის გაქრობა, მაგრამ სიკვდილზე გამარჯვებული სიცოცხლის სიბრძნე და მშვენიერება მაინც გადაწონს.

ამ მრავალბიან მხატვრულ ქსოვილში თვალში საცემია ერთგულების თემა. ერთ-

გულება კი ეფუძნება სიყვარულს და არა მხოლოდ გონებისმიერ გადანყვეცილებას. ის, რომ წაბილწულ სასახლეში, შეთქმულითა კლანჭებში მოქცეული ზანქანი ერთგული რჩება საქართველოს მეფისა და ქართული სახელმწიფოსი, მისი გულიდან მოდის. ისიც, რომ ასევე ერთგულია თავისი ხალხის, თვისი რწმენის, თავისი ცხოვრების ფილოსოფიის, ისიც სიყვარულიდან მომდინარეობს და სიცოცხლის წყურვილიდან. მის შინაგანი ოქროს კვეთი, ჰარმონია, რომელიც გამუდმებით იგრძნობა ამ პოლიტიკური ინტრიგებით, ღალატით, ორპირობით, ხელისუფლებისკენ სწრაფვით, ბოროტებით, ბევრი რომ აღარ გავაგრძელოთ, ყველა იმ ტკივილით სავსე რომანში, რომელიც ზოგადად ადამიანის ყოფას ასაიათებს, განპირობებულია სწორედ სიყვარულის, სიცოცხლისა და ადამიანების ერთიანობის მძაფრი განცდით, რწმენით, რომ ბოროტებისა და სიძნელის გვერდით აუცილებლად არის სიკეთე, სინათლე და სიბრძნე. და რომ ცხოვრება მათი ჭიდილია. ადამიანი კი იმად წარმოდგება, რადაც ამ ჭიდილიდან გამოვა. შემოქმედის მზერით დაჭერილია უფაქუსეი ნიუანსები და სამყარო აღქმულია სუფთა და არა კობოლდის დამსხვრეული სარკის ნამსხვრევებით ამოვსებული გულით.

